

კ @ ვკ აზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №5, მაისი

ნომრის თემა: სქესი და გენდერი

სარჩევი

აზერბაიჯანი	ქალურობაზე აცრამ მამაკაცად ვერ მაქცია
რუსეთი	საშუალო სქესისადმი მიკუთვნება – ხანდაზმულობის კომფორტი
საქართველო	აუტოსექსიზმი როცა ქერები ქერებს ქერებზე ანეკლოტებს უყვებიან!
ტაჯიკეთი	მსმელი და მცემელი სქესი თავისი პატარა სისუსტეების დამალვას იწყებს
აზერბაიჯანი	რა სჯობია – მოკლა თუ დაატუსალო? განსასჯელ ქალთა შორის სულ უფრო მეტია შურისძიების მომხრე
საქართველო	„მეორე სქესის“ ტკივილი – მეორეხარისხოვანია?
ყაზახეთი	სამზარეულო – სიმამაცის გამოსაცდელი პოლიგონი
აშშ	მოუბეზრებელი ჰარასმენტი და საზოგადოებრივი მუშაობის ასი საათი



სქესი და გენდერი

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

შინაური უცხოთა შორის და უცხო თავისიანებს შორის



– მე ჩვენს გვარში პირველი ვარ. ალბათ, ამიტომაც ელოდა ყველა ვაჟს და იმედი ჰქონდათ, რომ სწორედ ბიჭი გაჩნდებოდა. ბაბუაჩემიც დიდ იმედებს ამყარებდა ამაზე. როცა მე დავიბადე, ცოტა განაწყენდა. მერე მას თავში, მისი აზრით, კარგი იდეა გაუჩნდა. „შვილიშვილს ბიჭივით გავზრდი – თქვა მან. – როგორც ნამდვილ მამაკაცს“.

შედეგად მე აკრძალული მქონდა წაქცევა, ტირილი, მოალერსება სხვა გოგონებივით, საზეიმო, მაქმანებიანი სამოსის ჩაცმა. მე ზომ ბიჭივით უნდა გავზრდილიყავი! გავიდა წლები, გავიზარდე – მოუქნელი, უხეში, ცივისისხლიანი, შეუბრალებელი. სულში კი...

არ ვიცი, სწორად იქცეოდნენ თუ არა ჩემი ახლობლები. მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ – მათ ჩემი დაცვა უნდოდათ. ვისგან? მამაკაცებისგან – მათი ძალის, დიქტატის, შეუბრალებლობისაგან. იდეა, როგორც ვხვდები, ასეთი იყო – მოეცათ ჩემთვის იგივე იარაღი, რაც მათ აქვთ. ძალა, გულცივობა, შეუბრალებლობა. მართლაც, ჩემი წყენინება არც ისე იოლია!

სინამდვილეში მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ბევრი რამ დამაკლდა, რაც შეიძლებოდა მქონოდა, როგორც ქალს. ძალიან მიჭირს ვიფიქრო ქალივით, ჩავიცვა ქალივით, დავამყარო ურთიერთობა ხალხთან. ჩემგან დამოუკიდებლად, მამაკაცივით ვაზროვნებ. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როცა გამოვთქვამ ჩემს აზრს ქალების შესახებ. მე, ჩემდა უნებურად, მამაკაცებს ვიცავ და მიმაჩნია, რომ ყველაფერში დამნაშავე ქალია. ჩემს გათხოვებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება! ვერც კი წარმომიდგენია, რომ მე რომელიმე მამაკაცთან... ეს შეუძლებელია. შედეგად, ჩემი ადგილი არ არის არც მამაკაცებში და არც ქალებში.

ასე ლაპარაკობს რაია, სპორტის ოსტატი ძიუდოში, ეროვნული ნაკრების წევრი, აზერბაიჯანის ექვსგზის ჩემპიონი...

ვაფა სალენი, აზერბაიჯანი

ოლგა ლიპოვსკაია
რუსეთი

დროული ფიქრები

სქესიდან გენდერისაკენ



ფოტო უშიდა ახმდლოვასი, უზბეკეთი

ეპიგრაფის ნაცვლად:

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ასაკოვანი ადამიანების გონებრივი შესაძლებლობანი. მათ ტესტირება ჩაუტარეს 85 წელზე მეტი ასაკის 600 ადამიანს. გაირკვა, რომ ბებიებს უფრო მახვილი გონება აქვთ, ვიდრე ბაბუებს. ტესტირებულთა შორის კარგად აზროვნებდა ქალთა 33% და მამაკაცთა 28%. მახსოვრობაც, როგორც გამოირკვა, ასაკოვან ქალებს უკეთესი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. კარგი მახსოვრობით გამოირჩევა ქალთა 41% და მამაკაცთა 29%.

<http://www.aif.ru/online/longliver/105-106/2102>
24.11.06 09:00

ზემონსენებული ტექსტი ელექტრონული ფოსტით მივიღე ჩემი მეგობრის – გალია გრიშინასაგან, ისეთივე ბედნიერი ბებიასაგან, როგორც მე, ოღონდ უფრო ახალგაზრდა. სასიამოვნო ინფორმაციაა, სულში სითბოდ გელვრება. თუმცა, მართალი რომ ვთქვა, დიდად არ მაოცებს. ვფიქრობ, რუსეთის არჩევანში „ჩვენების“ უპირატესობა უფრო შესამჩნევი იქნება (და ძნელიც, სამწუხაროდ, 85

წელზე ასაკოვანი მამაკაცების პონა)..

ვინც გერმანული ენა იცის, მათთვის ცნობილია, რომ რიგ შემთხვევებში ქალი გერმანულში საშუალო სქესს მიეკუთვნება. გოგონა, ქალიშვილი და ქალი, ე.წ. „სტაჟიანი“ ცოლი, რომელიც უკვე სექსუალურად არამიმზიდველია და ამდენად ნაწილობრივ თითქოს უსულო. ვფიქრობ, მეორე მნიშვნელობა ასევე ხანდაზმულ ქალებსაც შეეფერება.

კიდევ მახსენდება, რომ რუსული კულტურის ერთ ამერიკელ მკვლევარს (მგონი, ჯოანა ჰობსს) აქვს საინტერესო ჰიპოთეზა მითიური პერსონაჟების – კუდიანი დედაბრისა (ბაბა იაგასა) და ქალთევზას თაობაზე – იმის შესახებ, რომ ორივე მათგანი წელსქვემოთ ერთიანია – ქალთევზას კუდი აქვს, დედაბერს კი – როლინი. ეს თავისებურება მათი გამოუსადეგარობის, უნაყოფობის სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს. ქალთევზა მრავალი კულტურისთვისაა დამახასიათებელი და როგორც ცნობილია, ასახიერებს სანიფათო, მიმზიდველ, მაგრამ მიუწვდომელ სილამაზეს. ანუ, იდეალურ, მაგრამ არა „გამოყენებით“ ქალს. აი, ბაბა იაგა კი სულ სხვა რამაა. მან „ფეხები შეაერთა“, თუ

შეიძლება ასე ითქვას, სიბრძნის, ჯადოქრული ძალაუფლების გამო.

ყველასათვის ცნობილია, რომ ასაკობრივ ვექტორზე გადაადგილებისას სხვადასხვა გენდერს მსგავსება-ცა აქვს და განსხვავებაც. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ეს განსხვავებები ზრდის, მომწიფების, ჭკნობის სტადიებშია, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია სახეობის რეპროდუქციულ ფუნქციასთან. მსგავსება იმაშია, რომ ამ სტადიებს გადის ყველა, ვინც აღწევს სიბერეს.

სოციალური თვალსაზრისით ევროპულ (და არა მარტო ევროპულ) კულტურაში დაბერებას ქალებისა და მამაკაცებისათვის ძველებურად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მამაკაცის სიბერე უფრო ხშირად მის სტატუსს ამაღლებს, უმატებს პატივისცემას, ანიჭებს მას სიბრძნისა და ცოდნის, პატრიარქალური ძალაუფლების მფლობელის სტატუსს. ქალის სიბერე უფრო ძველი (სექსუალური) მიმზიდველობის, ბიოლოგიური მნიშვნელობის დაკარგვას ნიშნავს და შესაბამისად, სტატუსის დაქვეითებას. თუმცა, გამონაკლისები აქაც არის, მაგრამ საერთო ჯამში, სურათი მაინც ასეთია.

მაგრამ, თუ ასაკობრივ განვითარებას თავად ქალის თვალთ შევხედავთ, რა უნდა იყოს დაბრძენებულ სიბერეზე უკეთესი, როცა უკვე ყველა ვალი გადახდილია, ყველა მოვალეობა შესრულებული, გაიზარდნენ ბავშვები, ჩაიქროლეს ჰორმონალურმა და რომანტიკულმა ქარიშხლებმა და ძველი ვნებები მოხერხებულ როდინში მოექცა, რომელიც ამ დროს ძალზე საჭიროც კია – ბებიას შეუძლია გაფრინდეს, სადაც უნდა?

„ნეტარია, ვინც ახალგაზრდობაში ახალგაზრდა იყო. ნეტარია, ვინც სიბერისათვის მომწიფდა“. მომწიფებაში მე ვგულისხმობ თავსმოხვეული ქალური როლისაგან გათავისუფლებას. ნაოჭებისა და ჭკარის შიშისაგან გათავისუფლებას, საკუთარი, სულ უფრო ნაკლებად მოძრავი სხეულის, მოჭრიალე ძვლებისა და მხედველობადაქვეითებული მხერის მიღებას. ნიჭს, უარი თქვა მამაკაცის შემფასებელი, დაინტერესებული მხერის ძიების ჩვევაზე.

უნდა ვადიარო, რომ მე სულაც არ მომწონდნენ ლამაზი, კეთილშობილი

და ღირსეული მოხუცი ქალბატონები კარგი მანერებით. მე მიყვარს ექსცენტრიული, გამომწვევი, ასაკისათვის „შეუფერებლად“ ჩაცმული, შეღებილი, ტატუირებული, ქუჩაში მწვეელი, მოხარხარე მოხუცები. ამას წინათ პლაკატი მაჩუქეს წარწერით: „კარგად აღზრდილი ქალები იშვიათად ქმნიან ისტორიას“.

ასე თუ ისე, განვლილი ქალური ცხოვრების ნაცვლად ხომ სწორედ შინაგანი ხედვა, ღრმა გაგება, განმარტოების სიხარული მოდის. ასაკი გასწავლის სილამაზის შეფასებას და უფრო იოლი ხდება ჭეშმარიტისა და ხელოვნურის გარჩევა. მხოლოდ წლებს მოაქვს დაისის სილამაზით ტკობის შეგრძნება საკუთარი სახლის ერთი და იგივე კუთხიდან. უფრო მეტად და უანგაროდ გახარებენ ბავშვები, ძაღლები და კატები.

იქნებ, საშუალო სქესისადმი მიკუთვნება მართლაც ბედნიერებაა? რა მოსახერხებელია ახლა ცხოვრებით ტკობა, როცა ცხოვრების ფასიც იცი და საკუთარი თავისაც. საკუთარი ფასეულობები უკვე მამაკაცური ეტალონისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება და ამით ის უფრო თავისუფალი, უფრო ჭეშმარიტია.

მხოლოდ ზოგჯერ, როცა ახალგაზრდა გოგონა კიბეზე საფეხურგამოტოვებით ჩაგიქროლებს, შენი ბებერი სხეული დაუფარავი შურით სავსე მხერას გააყოლებს ხოლმე...



როცა სქესი უკვე არ გალღვებს, შეიძლება გენდერშიც გაერკვე-ფოტო უმიდა ახმელოვასი, უზბეკეთი

დიანა პეტრიაშვილი
საქართველო

მერედა, სად არის აქ სოლიდარობა?

თვითკრიტიკა,

რასაკვირველია,

კარგია,

მაგრამ

რა საჭიროა მაზოხიზმი?

მე ტერმინი გამოვიგონე: აუტოსექსიზმი. ეს, როცა ქალი საკუთარი თავის, როგორც კლასის დისკრიმინაციასა და დისკრედიტაციას ახდენს. თავად სექსიზმი კუბში კი – როცა ქერები ქერებს ქერებზე ანკლოტებს უყვებიან...

მძულს ეს ანეკლოტები. ქალები მათ ერთმანეთს ხალისით უყვებიან. მაგიუებს ეს. ჩემს მეგობარებს ვეუბნები – გეყოთ, ქალბატონებო, როგორ შეიძლება? ისინი კი დამცინიან:

– მთლად გაგაგიჟა ამ შენმა ფემინიზმმა. ვერ ვიტან დამცინავ საუბრებს თემაზე „ქალი საჭესთან“. აქაც ძალზე ხშირად თავად ქალები იცინიან.

– შეხედე ამ გადარეულს! – გაჰყვიროდა ამ დილით ჩემი მეზობელი ქალი და თან საყვირს ხელს არ უშვებდა, – დედაკაცია, რა! იდიოტია, აბა რა, – დაამატა უკვე უფრო მშვიდად, როცა შემფერხებელ საცობს თავი დავაღწიეთ, – სულელი!

– ეგერ ვილაც ბიბა გისწრებს მარჯვნიდან, – ჩავაკევეხე სიტყვა.

მეგობარმა კი მხოლოდ ხელი ჩაიქნია – ხდება! კიდევ ძალიან არ მიყვარს გაუთავებელი ლაყბობა მენტრუაციისწინა სინდრომზე. ეს ზომ კარიკატურული პერსონაჟია – ქალი „კრიტიკულ“ დღეებში. სიცილით მოკვდები.

– იცი, გუშინ ისე ვეჩხუბე ჩემს ქმარს, – მეუბნება ბიბაშვილი - დიასახლისი.

– რა მოგივიდა?

– როგორ თუ რა? წინამენტრუალური სინდრომი, რა თქმა უნდა. სულ ტყუილ-უბრალოდ გავუბრაზდი. მოვითხოვე, რომ სამზარეულოში ცხელი წყალი

შეეკეთებინა. სამი წელია გაფუჭებულია, მე კი უცებ გავიგიჟე თავი. აი, რას გვიშვრება ეს სინდრომი...

ჩვენ ოდესღაც ვილაც გამოცდილი მავენ სექსისტის ანკესს წამოვევით და ახლა მორჩილად მივუყვებით არასწორ ბილიკს – თავჩაღუნული, გვერდზე გახედვისა გვეშინია. და საკუთარ თავს დავცინით – როგორც მომართულები.

ჩვენ „ქალური ლოგიკა“ გვაქვს – ჰა-ჰა-ჰა!

ყველა ქერა გამოუსწორებლად სულელია – ჰა-ჰა-ჰა! ვერასოდეს ვისწავლით მანქანის მართვას – ჰი-ჰი-ჰი! ჩვენ ემოციურად გაუწონასწორებელი, ბრიყვები, არაორგანიზებულები, გონებაგაფანტულები ვართ... (სია გრძელდება) – ჰო-ჰო-ჰო, ყოჩაღ, ბატონებო! თქვენ ჩვენზე უკეთესები ხართ.

მერე და რატომ? რატომ ვამცირებთ საკუთარ თავს? რატომ დასცინის ჩვენი სქესი ჩვენს გენდერს?! საიდან პიროვნების ასეთი გაორება?

საკითხავი აი, ეს არის.

სხვათა შორის ქმედება უკუქმედების ტოლია

პეტერბურგელი მძლოლი ქალები: მამაკაცების ადგილი არ არის ქუჩებში!

პეტერბურგის ფონდი „ქალები და პოლიტიკა“ აპირებს ბრძოლა გამოუცხადოს ქალი-მძლოლების უფლებათა დარღვევებს გზებზე.

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთა თქმით, მამაკაცები მუდმივად უშლიან ხელს ქალ მძლოლებს, უსიგნალებენ მათ, თხზავენ მათზე ათასგვარ ანკლოტს.

ამჟამად დაიწყო პირველი აქცია, რომელიც, ორგანიზატორთა აზრით, საკმაოდ გაურთულებს მდგომარეობას მამაკაცების თავაშვებულობას გზებზე. 20-კაციანი ქალი-მძლოლების ჯგუფი საკუთარი მანქანებით მჭიდრო კოლონის სახით იმობრავებს პეტერბურგის ქუჩებში 30 კმ/სთ სიჩქარით და არ მისცემს მამაკაცებს გადასწრების საშუალებას. თანაც ეს ჯგუფი იმობრავებს იქ, სადაც მამაკაცები, ჩვეულებრივ, ქალაქში მოძრაობის სიჩქარეს აჭარბებენ.

ორგანიზატორებმა გვაცნობეს, რომ აქციის მონაწილე ქალების ავტომობილების უკანა ნაწილზე გამოკრული იქნება ბანერი: „ ქუჩებში მამაკაცების ადგილი არ არის“.

წყარო: <http://saint-petersburg.ru/m/207820/>
(მიღებულია ელ.ფოსტით www.owl.ru)

მაზბუბა სულთანოვა,
ტაჯიკეთი

სქესი ნაცემი და სქესი მცემელი

მაშასადამე — უყვარს ?!

ყველა ოჯახშია განხეთქილება და დავა. ეს ცოლ-ქმრობის ჩვეულ რისკად ითვლება. კარგი ტრადიციების მქონე მეგობრულ ოჯახებში არც კი იციან, რომ ქმრისგან ცემა — ესეც ცოლ-ქმრული რისკის ჩვეული სახეობაა. ჩემთვის ემოციური სტრესი იყო, როცა ახალგაზრდობაში გავიგე, რომ ქმრები საკმაოდ ხშირად სცემენ თავიანთ „მეორე ნახევრებს“. 8 წლის წინ კრიზისული ცენტრის სამუშაოს ფარგლებში ტელევიზიის მუშაკებთან ერთად ქალაქის ქუჩებში გავიარეთ და გამვლელებს მხოლოდ ერთ კითხვას ვუსვამდით: გცემთ თუ არა ქმარი? ან: სცემთ თუ არა ცოლს?

10 გამოკითხულიდან რვა დადებითად უპასუხა!! ქალთა პასუხების ვარიანტები შემდეგი იყო:

- როგორ არა, რა თქმა უნდა, მცემს;
- თუ მას არ დავუჯერებ,
- როცა ნასვამია, გაბრაზებული ან როცა უსიამოვნებები გვაქვს...

მამაკაცები უფრო ლაკონურები იყვნენ: როცა არ მიჯერებს, მეწინააღმდეგება, ზედმეტს ლაპარაკობს, ცუდად ამზადებს.

4 წლის შემდეგ გამოკითხვა გავიმეორეთ. ჩემს კმაყოფილებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! 10 გამოკითხულიდან მხოლოდ სამმა აღიარა ცემის ფაქტი. და პრაქტიკულად ყველამ აღიარა, რომ ეს ცუდია. ფრთხილმხმული ამას ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის შედეგად ვთვლიდი, ყველა სემინარზე ეს მაგალითი მომყავდა.

ამას წინათ ჩემი ახლო ნაცნობების ვაჟი დაქორწინდა. საცოლე თავად შეარჩია, 18 წლის, ხელუხლებელი. ახლა იგი ხუთი თვის ორსულია. პერიოდულად გოგონა მირეკავს, როგორც ექიმს და მუცლის არეში ტკივილს უჩივის. შეხვედრისას ძალზე სევდიანი თვალები აქვს. დელიკატურად გამოვკითხე — როგორ არის საქმე? იგი ატირდა და მიაშბო, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი ქმარი სცემს, არსად არ უშვებს. როცა ეს ამბავი მისი უფროსი ძაღლის ცოლს გავუზიარე, მწარედ ჩაიციხა — თქვენ რა გგონიათ, ჩემი არ მცემს, თუ რა? მცემს და მე რე როგორ.

შოკში ვიყავი:

- ხალხში ყველგან ხომ იდეალური წყვილი ხართ!
 - ჰო, ხალხში კი.
 - ღმერთო ჩემო, მე რედა რატომ ითმენ? ბავშვები ხომ უკვე დიდები არიან.
 - რა გქნა? წასასვლელი არსად მაქვს.
- აი, ასე ვისაუბრეთ.

კი მაგრამ, გამოკითხვის შედეგები? მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ხალხსამდე ჯერ მხოლოდ ის ინფორმაცია მივიდა, რომ ქალის ცემა ცუდია. სირცხვილია თითქოს უბრალოდ, ამაზე ადრე სახალხოდ არ ლაპარაკობდნენ, ახლა — ლაპარაკობენ. არასამთავრობო მუშაობს, საინფორმაციო საშუალებებში საუბრობენ, სახელმწიფოს მხრიდან ქალის სტატუსის ასამაღლებელი სხვადასხვა პროგრამა მიღებული. მაგრამ როგორც სცემდნენ — ისევ ისე სცემენ, ოღონდ ახლა ამას მალავენ. პოლი-

ტიკური მოსაზრებების გამო.

ვერ ვივიწყებ, ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ერთ-ერთ დიდ კონფერენციაზე, რომელშიც სამართალდამცავი ორგანოებიც მონაწილეობდნენ, როგორ განაცხადა თითქოს ხუმრობით ერთმა დიდმა ხელმძღვანელმა პრეზიდენტიდან: „ეს როგორ, ახლა საკუთარი ცოლისთვისაც არ შეიძლება ხელის დაკარება?“

სხვათა შორის აზერბაიჯანში

უკეთესია დაატუსალო, ვიდრე მოკლა

მაგრამ ჩივილს ისინი შურისძიებას ამჯობინებენ

პრობლემის მეორე მხარე — თავად ქალების დუმილია. ხელავენ უკანონობას, ითმენენ უსამართლობას და ცემას, მაგრამ დუმილს აგრძელებენ. ჩვენთან, აზერბაიჯანში, არსებობს ქალთა უფლებების დაცვის ასოციაცია. მისი დირექტორის ლამია ჯაფაროვას სიტყვებით, ყოველწლიურად 17-43 წლამდე ასაკის 100-მდე ქალი ხდება ინვალიდი ან იღუპება ცემის შედეგად. ყოველწლიურად! „ეს აღემატება საგზაო ავარიებში ან მოურჩენელი დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვს. 100-დან 65 ქალი მოკლულია ქმრის ან იმ მამაკაცის მიერ, ვისთანაც ცხოვრობდა. 4 ათასამდე ქალი ყოველწლიურად შეუბრალებლად იცემება საკუთარ სახლში, ათასამდე ქალი იღებს ტრავმას“ „... ქმრები ართმევენ მათ ხელფასს, ითხოვენ ხარჯების ანგარიშს, უკრძალავენ მუშაობას. მიუხედავად ამისა, ქალები არ მიმართავენ პოლიციას, — ამბობს ლამია. — მათ ურჩევნიათ ყოველგვარი ტანჯვა აიტანონ, მაგრამ პოლიციას არ მიმართონ. ეს ხელებს უხსნის მამაკაცებს“. და ეს თავად ქალებს ხდის კრიმინალებად. გენდერულ კვლევათა აზერბაიჯანული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის მამედ გულიევის ინფორმაციით, ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა აზერბაიჯანელ ქალთა აგრესიულობამ. ექსპერტი ამის შესახებ დასკვნას განსასჯელთა შემადგენლობის მიხედვით აკეთებს. მათი უმრავლესობა ქმრის ან საყვარლის მოკლისათვის იხდის სასჯელს. ეს ადასტურებს, რომ ქალებს ურჩევნიათ საკუთარი უფლებები თავად დაიცვან. როგორც მოახერხებენ — და მხოლოდ მაშინ, როცა საქმე უკანასკნელ ზღვარს აღწევს.

ვაფა სალენი,
ბაქო

და შედეგად ძვლების სიმეიფეს დაავადების ყოველი მეხუთე შემთხვევისას სიკვდილამდე მივყავართ.

– გოგონები საერთოდ ნაკლებად ეტანებიან სპორტს, – კომენტარს უკეთებს ოსტეოპოროზის „გენდერულ“ მიმართულებას ნონა ექიმი, – მერე ორსულობა, ძუძუთი კვება, შემდეგ ერთსა და იმავე პოზაში ჩვილების საათობით რწევა: აი დაავადების წანამძღვრები.

თანამედროვე მედიცინას ძალუძს ადამიანს ასწავლოს დაავადების თავიდან აცილება, გარკვეულ სტადიაში განკურნება, ან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მისაღებ დონეზე შეჩერება.

მაგრამ მას არ ხელეწიფება ასწავლოს ქალებს საკუთარი თავისა და ჯანმრთელობის დაფასება.

ქართველი ქალების უმრავლესობისათვის ექიმთან მისვლა მტანჯველ აუცილებლობად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მეტის მოთმენა შეუძლებელია. ცუდი ტონია, საკუთარ სატკივარზე საუბარი, ოჯახისათვის ყურადღების ძვირფასი წუთების წართმევა, ანალიზებსა და წამლებზე ფულის დახარჯვა. ნამდვილი ქალი მედგრად გადაიტანს ყველაფერს საკუთარ მხრებზე და მუშა ცხენის ღრმა სიბერემდე მიაღწევს.

თუ დაეცემა, რა მოხდა მერე: დაცემულ ცხენებს, სამწუხაროდ, ხოცავენ!

ყველაზე ტრაგიკომიკური, იცით, რა არის? ქალბატონ ნელის არ მოსწონს, რომ მისი რძლები მეტისმეტი ყურადღებით ეკიდებიან საკუთარ ჯანმრთელობას.

– აბა მე, – თავმოძვონედ ამბობს იგი და ხელი სულ უფრო ძლიერად უკანკალებს, – ახალგაზრდობაში ექიმთან ერთხელაც არ მივსულვარ.

სხვათა შორის ქალთა ჯანმრთელობას ძალზე ცოტა დრო ეთმობა, თვლის მსოფლიოს მთავარი ექიმი


ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა მარგარეტ ჩენმა შეგვახსენა, რომ ქალები საზოგადოების დასაყრდენს წარმოადგენენ, მაგრამ ამასთან ბევრ მათგანს საერთოდ არ მიუწვდება ხელი სამედიცინო დახმარების ყველაზე ელემენტარულ სახეობებზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ქალი იღუპება გართულებული ორსულობის ან მშობიარობის შედეგად – და ეს რიცხვი 20 წლის მანძილზე თითქმის არ შეეცვლილა. „ქალთა ჯანმრთელობა ნამდვილად საფრთხეშია, როცა მათ ცოტა ფული აქვთ, არა აქვთ წამლები და ხელი არ მიუწვდებათ პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე. ხშირად ეს რთულდება სოციალური ნორმებით, რომლის მიხედვითაც ქალებს არა აქვთ ხმის უფლება ან მამაკაცების თანაბარი შესაძლებლობები“, – განაცხადა მარგარეტ ჩენმა.

სხვათა შორის კიდევ ერთი ფაქტი განსჯისათვის

ბარსელონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სააგენტოს მოხსენების თანახმად, გათხოვილი ქალები საკუთარ ჯანმრთელობაზე უფრო ცუდი აზრისანი არიან: („ისინი საკუთარ თავზე იღებენ იმათი შენახვისა და მოვლის ფუნქციას, ვინც სახლში ცხოვრობს“), ხოლო გაყრილი ან მარტოხელა ქალები კი საკუთარ ჯანმრთელობას ისევე აფასებენ, როგორც მამაკაცები, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი. ასეთი მოპყრობის მიზეზები ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გაყრა ქალებს აძლიერებს. რაფაელ პერეს იბარა

წყარო:

<http://www.inopressa.ru/elpais/2007/05/08/14:43:33/women>



ვინ შეგვედავება? – პროფილაქტიკური გასინჯვა ქოლგებსაც კი სჭირდებათ....

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

ვაფა სალუხი, აზერბაიჯანი;
ოლგა ლიპოვსკაია, რუსეთი;
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
მახზუბა სულთანოვა, ტაჯიკეთი;
თინიკო მჟავანაძე, საქართველო;
ნინა ერკაევა, ყაზახეთი

ფოტო:

პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო;
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი;
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კ@ვკაზიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკაზია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია
გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge
<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 77 60 18; (995 99) 90 11 24